40

საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტის

აქტი

№ 1100 „ 5 ” იანვარი 2012 ქ. თბილისი

"ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ “

თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგის
და უსაფრთხოების სფეროს აუდიტის
დეპარატამენტის უფროსის მოვალეობის
შემსრულებელი

თორნიკე შერმადინი

„05“ 01 2012 წელი

ეგზ. N2

საჯარო სამართლის იურიდიული პირი „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო“-ს ფინანსური აუდიტის აქტი

01/04/2008-31/12/2009

ფინანსური ანგარიშგებები

შემოსავლების და გადასახდელების ანგარიშგება 4
საბალანსო ანგარიშგება 5
წმინდა ღირებულების ანგარიშგება 6

ფინანსური ანგარიშგებების განმარტებები

1. ძირითადი საქმიანობა 7
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები 8
3. შემოსავლები 9
3.1 შემოსავალი ძირითადი მომსახურებიდან 9
3.2 შემოსავალი საფელდეგერო მომსახურებიდან 9
3.3 ქირავნობიდან მიღებული შემოსავალი 10
3.4 ჯართის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი 11
3.5 სადაზღვევო ანაზღაურება და სხვა შემოსავალი 12
4. გადასახდელები 12
4.1 შრომის ანაზღაურება 12
4.2 საქონელი და მომსახურება 13
4.4 არაფინანსური აქტივების ზრდა 17
5. საბალანსო ანგარიშგება 17
5.1 ფული და ფულის ექვივალენტები 17
5.2 დებიტორული დავალიანებები 17
5.3 კრედიტორული დავალიანებები 18
5.4 არაფინანსური აქტივები 18
5.5 სხვა მატერიალური მარაგები 24
6. წმინდა ღირებულების ანგარიშგება 25
7. სხვა განმარტებები 25
8. რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა 29

შესავალი

აუდიტის საფუძველი	საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2010 წლის 19 აგვისტოს N 85/43 ბრძანება
აუდიტის ვადა	2010 წლის 19 აგვისტოდან 2010 წლის 28 სექტემბრამდე

შემოკლებანი

მომსახურების სააგენტო	სსიპ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო“
სამინისტრო	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
სსიპ	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
მინისტრი	საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი
შესყიდვების სააგენტო	სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო“
დებულება	სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 3.01.06 წლის N1 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულება
ბასს	ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები
შესყიდვების კანონი	სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონი

შემოსავლების და გადასახდელების ანგარიშგება

2009 წლის 31 დეკემბერი და 2008 წლის 31 დეკემბერი

(ათას ლარებში)

		2009 წელი		01/04/2008-31/12/2008	
	განმარტება	საკასო	ფაქტიური	საკასო	ფაქტიური
შემოსავლები					
ძირითადი მომსახურებიდან	3.1	22,582	19,075	21,122	17,747
საფელდეგერო მომსახურებიდან	3.2	312	291	188	181
სულ საოპერაციო შემოსავლები		**22,894**	**19,366**	**21,310**	**17,928**
შემოსავალი ქირავნობიდან	3.3	114	111	58	62
საპროცენტო შემოსავალი		33	33	145	145
ჯართის რეალიზაცია	3.4	38	38	97	97
სადაზღვევო ანაზღაურება და სხვ.	3.5	147	249	-	-
სხვა შემოსავლები	3.5	-	-	368	57
სულ არასაოპერაციო შემოსავლები		**334**	**432**	**669**	**361**
სულ შემოსავლები		**23,228**	**19,797**	**21,980**	**18,289**
ხარჯები					
შრომის ანაზღაურება	4.1	7,740	7,749	5,357	5,298
საქონელი და მომსახურება	4.2	7,359	4,599	3,242	3,891
ძირითადი კაპიტალის მოხმარება		-	1,761	-	893
ბიუჯეტში გადახდილი თანხები	4.3	2,733	-	2,018	-
სოციალური უზრუნველყოფა		-	-	36	-
სულ ხარჯები		**17,832**	**14,109**	**10,653**	**10,082**
არაფინანსური აქტივების ზრდა	4.4	4,931	-	13,264	-
სულ გადასახდელები		**22,763**	**14,109**	**23,917**	**10,082**
გაუნაწილებელი მოგების ზრდა			**5,688**		**8,207**

საბალანსო ანგარიშგება

2009 წლის 31 დეკემბერი და 2008 წლის 31 დეკემბერი

(ათას ლარებში)

	განმარტება	31/03/2008	31/12/2008	31/12/2009
აქტივები				
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	5.1	2,065	128	593
დებიტორული დავალიანებები	5.2	108	905	601
წინასწარი გადახდები		479	-	-
სულ ფინანსური აქტივები		**2,652**	**1,033**	**1,194**
არაფინანსური აქტივები				
შენობა-ნაგებობები	5.4	300	1,663	19,131
მანქანა-დანადგარები და მოწყობ.	5.4	1,680	3,601	3,687
სხვა ძირითადი აქტივები	5.4	10,115	-	6
დაუმთავრებელი მშენებლობა	5.4	-	15,513	402
სხვა დანარჩენი ძირითადი აქტივ.	5.4	-	25	61
სხვა მატერიალური მარაგები	5.5	1,326	3,709	2,358
არაწარმოებული აქტივები	5.4	1,520	1,964	3,015
სულ არაფინანსური აქტივები		**14,941**	**26,475**	**28,660**
სულ აქტივები		**17,593**	**27,508**	**29,854**
ვალდებულებები და კაპიტალი				
კრედიტორული დავალიანება	5.3	661	5,030	396
საგადასახადო ვალდებულებები	5.3	254	26	134
სხვა ვალდებულებები	5.3	31	19	28
წმინდა ღირებულება		12,298	9,876	11,051
გაუნაწილებელი მოგება		4,349	12,557	18,245
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**17,593**	**27,508**	**29,854**

წმინდა ღირებულების ანგარიშგება

2009 წლის 31 დეკემბერი და 2008 წლის 31 დეკემბერი

(ათას ლარებში)

	განმარტება	2008 წელი	2009 წელი
წმინდა ღირებულების ნაშთი 01/04/2008	6	12,298	
წმინდა ღირებულების ნაშთი 31/12/2008	6		9,876
ზრდა:			
მიღებული დაფინანსება		-	-
უსასყიდლოდ გადმოცემული აქტივები		506	326
გრანტი (მიწა)		-	3,436
სულ წმინდა ღირებულების ზრდა		**506**	**3,762**
შემცირება:			
საქონლისა და მომსახურების გამოყენება		(18)	(9)
ძირითადი აქტივების მოხმარება		(10)	(93)
გრანტი (მიწა)		-	(2,253)
უსასყიდლოდ გადაცემული აქტივები		(2,794)	(221)
სხვა ეკონომიკური ნაკადი (მოცულობითი ცვლილება)		(106)	(13)
სულ წმინდა ღირებულების შემცირება		**(2,928)**	**(2,587)**
წმინდა ნაზრდი პერიოდის განმავლობაში		(2,422)	1,175
წმინდა ღირებულების ნაშთი 31/12/2008	6	9,876	
წმინდა ღირებულების ნაშთი 31/12/2009	6		11,051

1. ძირითადი საქმიანობა

მომსახურების სააგენტო შეიქმნა საქართველოს კანონით "საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ". სააგენტო ანგარიშვალდებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 17 იანვრის N56 ბრძანებით დამტკიცებული დებულების თანახმად სააგენტოს ფუნქცია და საქმიანობის საგანია:

- თავისი კომპეტენციის ფარგლებში იარაღის ლეგალურ ბრუნვასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის წარმოება, იარაღის შეძენის, შენახვის, ტარების, ასევე გადატანა-გადაზიდვის და ქვეყანაში შემოტანა-გატანის ნებართვების გაცემა, იარაღის ჩამოწერა, მისი ბალისტიკური შემოწმება, იარაღის სამართლეობრივი მდგომარეობის შესახებ ცნობის გაცემა და სხვა
- მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებებზე სხვადასხვა კატეგორიის მართვის უფლების მინიჭება და შესაბამისი მართვის მოწმობების გაცემა, შეცვლა და დაკარგულის აღდგენა
- მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობის გაცემა, გირავნობის რეგისტრაცია და გირავნობის მოწმობის გაცემა; სატრანსპორტო საშუალებების საექსპერტო შემოწმება, რეგისტრაცია და აღრიცხვიდან მოხსნა, სარეგისტრაციო ნიშნების მინიჭება; დიპლომატიური სტატუსის სახელმწიფო სანომრე ნიშნის გაცემა; მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე სამართლებრივი შეზღუდვა, აღნიშნული შეზღუდვის მოხსნა; ინფორმაციის შეტყობინების ვალდებულება და სხვა
- ნასამართლეობის შესახებ ცნობის გაცემა
- განსაკუთრებული მნიშვნელობის, სრულიად საიდუმლო და საიდუმლო კორესპონდენციების, ამანათების, დოკუმენტაციის, სპეციალური ტექნიკის და სხვა ნივთების დანიშნულების ადგილზე ოპერატიულად მიტანა და ჩაბარება, საფელდეგერო მომსახურების პირობებისა და ფასების განსაზღვრა
- კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლება-მოვალეობების განხორციელება

სააგენტოს სტრუქტურული ერთეულებია:

- თბილისის სამმართველო;
- აღმოსავლეთ საქართველოს სამმართველო;
- დასავლეთ საქართველოს სამმართველო;
- მონიტორინგის, ინსპექტირებისა და პროგრამული უზრუნველყოფის სამმართველო;
- საკადრო და ორგანიზაციული უზრუნველყოფის სამმართველო;
- საქმის წარმოების ორგანიზების ქვეგანყოფილება (კანცელარია);

1. ძირითადი საქმიანობა (გაგრძელება)

- სანებართვო და საფელდეგერო მომსახურების სამმართველო და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველო.

სააგენტოს სტრუქტურული ერთეულების კომპეტენცია განსაზღვრულია სააგენტოს დებულებით. მაგრამ სააგენტოს არ აქვს შემუშავებული და დამტკიცებული თანამდებობათა ფუნციების აღწერილობა და უფლება-მოვალეობათა განსაზღვრა.

სააგენტოს შემოსავლების წყაროებია:[1]

- შესაბამისი ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები
- სახელმწიფო შეკვეთის შესრულებიდან მიღებული შემოსავალი
- გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასური
- ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი
- საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები

დებულების თანახმად, სააგენტოს შემოსავლები უნდა მოხმარდეს როგორც მისი მიზნებისა და ფუნქციების განხორციელებას, აგრეთვე სააგენტოსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის განვითარებას. სააგენტოს სახსრების გამოყენება სხვა მიზნით აკრძალულია.

აუდიტის პერიოდში სააგენტოს ჯამში გაფორმებული აქვს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 19,558.8 ათასი ლარის, 159.4 ათასი აშშ დოლარის და 12.2 ათასი ევროს ღირებულების 1,084 ხელშეკრულება.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები

სააგენტოს მიერ ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებულია:

- საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულება „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“

- ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად[2] ბასს-ით ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების წარმოება ევალებათ მხოლოდ კერძო სამართლის იურიდიულ პირებს (მცირე საწარმოსა და არაკომერციული იურიდიული პირის გარდა).

---

[1] აუდიტის პერიოდში სააგენტოს შემოსავლების ფორმირება ხდებოდა მხოლოდ საკუთარი წყაროებიდან, ბიუჯეტიდან დაფინანსება გამოყოფილი არ ყოფილა

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

- სააგენტო კვარტალურ და წლიურ ფინანსურ ანგარიშგებას ყოველწლიურად წარუდგენს სამინისტროს, როგორც მის დაქვემდებარებაში და სახელმწიფო კონტროლის ქვეშ მყოფი სსიპ. ფინანსური ანგარიშგებები მზადდება ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანებით დამტკიცებული საბიუჯეტო ორგანიზაციათა ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების შესაბამისად.

ფინანსთა მინისტრის ბრძანებებით დამტკიცებული ფორმების[3] და ინსტრუქციის[4] შესაბამისად ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგება ევალებათ მხოლოდ ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ სსიპ-ებს, რომელთა კატეგორიას სააგენტო არ მიეკუთვნება.

3. შემოსავლები

3.1 შემოსავალი ძირითადი მომსახურებიდან

სააგენტოს შემოსავლების წყაროს 2008 და 2009 წლების განმავლობაში წარმოადგენდა მხოლოდ საკუთარი შემოსავლები. 2008 წლის 1 აპრილიდან 2008 წლის 31 დეკემბრამდე სააგენტოს ფაქტიურმა შემოსავლმა შეადგინა 18,289.4 ათასი ლარი და 2009 წელს 19,797.2 ათასი ლარი. ძირითადი მომსახურებიდან ფაქტიურმა შემოსავლებმა 2008 და 2009 წლებში შეადგინა შესაბამისად, 17,747 ათასი და 19,074 ათასი ლარი, ხოლო საკასო შემოსავლებმა შესაბამისად 21,122 ათასი და 22,582 ათასი ლარი.

3.2 შემოსავალი საფელდეგერო მომსახურებიდან

აუდიტის პერიოდში საფელდეგერო მომსახურებაზე ყოველწლიურად გაფორმებულია ხელშეკრულებები 27 სხვადასხვა სახელმწიფო და არა სახელმწიფო ორგანიზაციასთან. წლის სამი კვარტლის ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 180.5 ათასი ლარი, 2009 წელს - 290.8 ათასი ლარი.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, საფელდეგერო მომსახურების საფასური, მისი გადახდის წესი და ვადები განისაზღვრება საფელდეგერო მომსახურების ხელშეკრულებით. ყოველ ხელშეკრულებაზე დართულია საფელდეგერო მომსახურების ტარიფები გზავნილის წონიდან, დანიშნულების ადგილამდე მანძილიდან და მომსახურების სახეობიდან გამომდინარე, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ დსთ-ს ქვეყნების ფარგლებში. თუ საჭიროა გზავნილის გაგზავნა ისეთ ადგილზე, რომელიც არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებით, დამკვეთსა

---

[2] საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ“

[3] 16/04/2008 წლის N364 ბრძანება

[4] 28/12/2007 წლის N1321 ბრძანება

3. შემოსავლები (გაგრძელება)

3.2 შემოსავალი საფელდეგერო მომსახურებიდან (გაგრძელება)

და სააგენტოს შორის ურთიერთობა რეგულრდება დამატებითი წერილობითი შეთანხმებით. საფელდეგერო მომსახურების ტარიფების ოდენობის განსაზღვრის მეთოდის, ფინანსური გათვლისა და დასაბუთების შესახებ წერილობითი დოკუმენტი სააგენტოს მიერ შემუშავებული არ არის.

3.3 ქირავნობიდან მიღებული შემოსავალი

ქირავნობიდან მიღებულმა ფაქტიურმა შემოსავალმა 2008 წლის 1 აპრილიდან 2008 წლის 31 დეკემბრამდე შეადგინა 61.9 ათასი ლარი და 2009 წელს - 111.4 ათასი ლარი.

აუდიტის პერიოდში სხვადასხვა იურიდიულ პირებზე და ინდივუდუალურ მეწარმეებზე (სულ 11 დამქირავებელი) ქირავნობით გადაცემულია სააგენტოს ბალანსზე რიცხული ფართები. ფართები ძირითადად გადაცემულია საბანკო სალაროებისა და ბანკომატების, ასევე მომენტალური გადახდის აპარატების განსათავსებლად და ადმინისტარციულ შენობაში კვების ობიექტის მოსაწყობად. აქედან მხოლოდ ერთ შემთხვევაში არ არის წარმოდგენილი შეთანხმება ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულთან, როგორც მესაკუთრესთან, რომლისგანაც სააგენტოს უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაეცა შესაბამისი ქონება. კერძოდ, 2009 წლის 19 ოქტომბერს, ქ. ბათუმის განყოფილების შენობის ფართის 27.7 კვ.მ ოდენობით სს „ბანკი რესპუბლიკა"-სთვის ქირავნობით გადაცემის შესახებ[5].

უშუალოდ სააგენტოს ადმინისტრაციულ შენობაში ფართების გადაცემასთან დაკავშირებით, წარმოდგენილია შს სამინისტროსთან თანხმობის მიღებაზე გაგზავნილი 15/03/2008 წლის N49/10/3-740 წერილი და ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების ქვემო ქართლის სამხარეო სამმართველოს 18/03/2008 წლის N346-1-03 წერილი, სხვადასხვა ოდენობის ფართების გაქირავებაზე თანხმობის შესახებ. 05/03/2008 წლის N1 ხელშეკრულება სს „თიბისი ბანკთან" 140.25 კვ.მ ფართის და 9/03/2008 წლის N2 ხელშეკრულება შპს „მეგაფუდთან" 108 კვ.მ ფართის ქირავნობით გადაცემის შესახებ დადებულია აღნიშნული თანხმობის მიღებამდე[6].

---

[5] დარღვეულია ქ. ბათუმის მერიასა და სააგენტოს შორის 21.01.09 წლის ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.1.2 პუნქტის მოთხოვნა

[6] დარღვეულია სააგენტოს დებულების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტის და საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტროს 7.07.06 წლის N 1-1/585 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების მოსარგებლის მიერ მესამე პირისათვის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის გაცემის წესის" მე-2 მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების მოთხოვნები

3. შემოსავლები (გაგრძელება)

3.3 ქირავნობიდან მიღებული შემოსავალი (გაგრძელება)

თანხმობის გაცემის შესახებ სააგენტოს მიერ გაგზავნილ წერილებში არ არის მითითებული ქირის ოდენობა და ფართის სარგებლობაში გადაცემის სათანადო დასაბუთება, რაც აუცილებელია თანხმობის საკითხის გადაწყვეტისათვის, რადგან მითითებული წესის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, თანხმობის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი შეიძლება იყოს შენობა-ნაგებობის ან მათი ნაწილის სარგებლობაში გადაცემის არასაკმარისი დასაბუთება, ქირის ოდენობა და გაცემის სხვა პირობები[7].

09/03/2008 N2, 27/06/2008 N3/ი, 3/10/2008 და 20/07/2009 წლის N20/07 ხელშეკრულებებით კვების ობიექტის მოსაწყობად ფართთან ერთად (სამ შემთხვევაში-108 $მ^2$, ერთ შემთხვევაში - 72 $მ^2$) ქირავნობით გადაცემულია ასევე სააგენტოს სხვადასხვა სახის ინვენტარი 19.7 ათასი ლარის მთლიანი საბალანსო ღირებულებით. ყოველთვიური ქირის ოდენობა შეადგენს 1,200 ლარს. ხელშეკრულებებით არ არის გამოყოფილი ქირის ოდენობა ფართისათვის და ინვენტარისათვის ცალკე.

3.4 ჯართის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი

აუდიტის პერიოდში, 2008 და 2009 წელს, შს მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული დებულების[8] საფუძველზე ჯართის სახით რეალიზებული იქნა მიმოქცევიდან ამოღებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების სანომრე ნიშნები. 2008 წლის 1 აპრილიდან 31 დეკემბრის ჩათვლით რეალიზებულია 96.6 ათასი ლარის 37,900 კგ. ხოლო 2009 წლის განმავლობაში - 38.1 ათასი ლარის 33,000 კგ. ჯართი.

შს მინისტრის ზემოხსენებული დამტკიცებული დებულებით არ არის განსაზღვრული მიმოქცევიდან ამოღებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების სანომრე ნიშნების ჯართის სახით რეალიზაციის ფორმა და წესი. ჯართის რეალიზაცია განხორციელებულია სააგენტოს დირექტორის ბრძანებით[9] შექმნილი საინვენტარიზაციო კომისიის გადაწყვეტილებების საფუძველზე გამოცხადებული კონკურსების შედეგად.

---

[7] დარღვეულია საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტროს 7.07.06 წლის N 1-1/585 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების მოსარგებლის მიერ მესამე პირისათვის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის გაცემის წესის“ მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნები.

[8] 27/03/2008 წლის N393 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში გამოუსადეგარ (ზღვრულ) მდგომარეობამდე მიყვანილი, გამოუყენებელი ან დაკარგული ქონების ჩამოწერისა და აღრიცხვიდან მოხსნის შესახებ დებულების“ მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი

[9] 2008 წლის 29 აპრილის წლის N15 ბრძანება

3. შემოსავლები (გაგრძელება)

3.4 ჯართის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი (გაგრძელება)

შესაბამისი მიღება-ჩაბარებების აქტებიდან გამომდინარე, 2010 წლის 1 იანვრისათვის მიმოქცევიდან ამოღებული სანომრე ნიშნების ჯართის ოდენობამ, რომელიც არ ყოფილა რეალიზებული, შეადგინა 10,240 კგ. მიმოქცევიდან ამოღებული სანომრე ნიშნები ინახება სპეციალურად დაცულ საცავში, სადაც ხდება მათი დაჭრა, რის შემდეგაც აუდიტორული შეფასების საფუძველზე შესაბამისი ღირებულებით აიყვანება შემოსავალში ჯართის სახით.

3.5 სადაზღვევო ანაზღაურება და სხვა შემოსავალი

სააგენტოს 2009 წლის შემოსავლების ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს ავტოსაგზაო შემთხვევების შედეგად სააგენტოსთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით ბრალეული პირების მიერ გადახდილი თანხები, სადაზღვევო კომპანიების მიერ არაანაზღაურებადი მინიმუმის ოდენობით და სადაზღვევო კომპანიების მიერ ანაზღაურებული თანხები იმ ავტომანქანებზე, რომელთა აღდგენა შეუძლებელი იყო. ასეთი სახის ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 248.9 ათასი ლარი, საკასომ - 145.8 ათასი ლარი.

2009 წელს საკასო შემოსავლად დაფიქსირდა კონტროლის პალატის აქტის საფუძველზე მიმწოდებლების მიერ სააგენტოსთვის დაბრუნებული ზედმეტად მიღებული თანხები, სულ 1.7 ათასი ლარი.

სააგენტოს 2008 წელს სხვა შემოსავლების მუხლით აღრიცხული აქვს საბანკო რეკვიზიტების არასწორი მითითების გამო მომწოდებლებზე გადარიცხული თანხების დაბრუნება, საბანკო ანგარიშებს შორის თანხების გადატანა და თანხის კონვერტაცია, რაც არ წარმოადგენს სააგენტოს შემოსავლებს და არ ახდენს გავლენას მის ფინანსურ მდგომარეობაზე.

4. გადასახდელები

4.1 შრომის ანაზღაურება

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, სააგენტოს 2008 წლის 1 აპრილიდან 2008 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა 23,916.7 ათასი ლარი, ხოლო 2009 წელს - 22,762.6 ათასი ლარი.

შრომის ანაზღაურების საკასო ხარჯმა 2008 წლის 1 აპრილიდან 2008 წლის 31 დეკემბრამდე და 2009 წელს შესაბამისად შეადგინა 5,357.2 ათასი და 7,740.0 ათასი ლარი. უმაღლესი საშტატო სახელფასო განაკვეთი განსაზღვრული აქვს სააგენტოს დირექტორს და შეადგენს 2,680 ლარს.

2008 წელს ერთ კონკრეტულ მოსამსახურეზე მთლიანობაში დარიცხული პრემიის მაქსიმალური ოდენობა შეადგენს 17.2 ათას ლარს, 2009 წელს კი 19.6 ათას ლარს. ერთჯერადად ერთ

4. გადასახდელები (გაგრძელება)

4.1 შრომის ანაზღაურება (გაგრძელება)

მოსამსახურეზე გაცემული პრემიის მაქსიმალური ოდენობაა 5.0 ათასი ლარი.

სააგენტოს ბალანსის დანართის (ფორმა N2) მონაცემებით, 2008 წელს შტატით მომუშავეთა რიცხოვნობა გეგმით გათავალისწინებული იყო 448 ერთეული, ფაქტიური რიცხოვნობა შეადგენდა 432 მოსამსახურეს. 2009 წელს შტატით მომუშავეთა რიცხოვნობა წლიური გეგმით შეადგენდა 471 ერთეულს, ფაქტიურად მომუშავეთა რიცხოვნობა იყო 493. 22 თანამშრომლით დასაქმებულთა მეტობა აიხსნება ნახევარ განაკვეთზე მომუშავეთა რიცხოვნობით.

	საკასო ხარჯი	ფაქტიური ხარჯი	საკასო ხარჯი	ფაქტიური ხარჯი
	01/04/2008-31/12/2008		2009	
თანამდებობრივი სარგო	3,885.7	3,885.7	5,748.9	5,748.4
წოდებრივი სარგო	92.1	92.1	140.8	140.8
პრემია	1,034.8	961.0	1,271.7	1,266.4
დანამატი	344.5	358.7	578.9	593.2
სულ შრომის ანაზღაურება	**5,357.2**	**5,297.5**	**7,740.3**	**7,748.8**

4.2 საქონელი და მომსახურება

2008 წლის 1 აპრილიდან 31 დეკემბრამდე და 2009 წელს საქონელისა და მომსახურების მუხლით გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

	საკასო	ფაქტიური	საკასო	ფაქტიური
	01/04/2008-31/12/2008		2009	
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღ.	132.1	116.0	35.5	26.6
მივლინებები	33.0	33.0	50.6	50.6
ოფისის ხარჯები	526.0	436.9	799.7	582.1
წარმომადგენლობითი ხარჯები	-	17.0	15.2	15.2
სამედიცინო ხარჯები	2.2	2.2		
კვების ხარჯები	-	-	-	-
რბილ.ინვენ. და პირ. ჰიგ-ის საგ.	144.5	37.9	79.3	108.8
ტრანსპ. ტექ. ექსპლოტ. ხარჯები	541.1	593.4	1,144.2	613.9
სხვა დანარჩენი საქ და მომს-ბა	1,863.3	2,654.7	5,234.0	3,201.5
სულ საქონელი და მომსახურება	**3,242.3**	**3,891.4**	**7,358.5**	**4,598.7**

შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება

2008 წლის 1 აპრილიდან 2008 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით შტატგარეშე მოსამსახურეთათვის გაწეულია 132.1 ათასი ლარის საკასო და 115.9 ათასი ლარის ფაქტიური ხარჯი, 2009 წელს - 35.5 ათასი ლარის საკასო და 26.6 ათასი ლარის ფაქტიური ხარჯი. შტატგარეშე მომუშავეთა ფაქტიური რიცხოვნობა 2008-2009 წლებში შეადგენდა, შესაბამისად, 23 და 28 მოსამსახურეს.

4. გადასახდელები (გაგრძელება)

4.2 საქონელი და მომსახურება (გაგრძელება)

მივლინებები

2008 წლის 1 აპრილიდან 2008 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით მივლინების საკასო და ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 33.0 ათასი ლარი, მათ შორის ქვეყნის ფარგლებს გარეთ 6.0 ათასი ლარი, ხოლო ქვეყნის შიგნით - 27 ათასი ლარი. 2009 წელს მივლინების ხარჯმა შეადგინა სულ 50.6 ათასი ლარი. მათ შორის ქვეყნის ფარგლებს გარეთ 1.6 ათასი და ქვეყნის შიგნით 49.0 ათასი ლარი.

ოფისის ხარჯები

ოფისის ხარჯები მოიცავს კავშირგაბმულობის, ინტერნეტ-მომსახურების, საკანცელარიო საქონელის, სამეურნეო და ელექტრო საქონელის, საოფისე ინვენტარის, კატრიჯების, კომპიუტერული აქსესუარების ხარჯებს და სხვ. 2008 წლის 1 აპრილიდან 2008 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში ოფისის ხარჯების საკასო ხარჯი შეადგენდა 526.0 ათას ლარს, ხოლო 2009 წელს 799.7 ათასი ლარს.

ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები

2008 წლის 1 აპრილის მდგომარეობით სააგენტოს ბალანსზე ირიცხებოდა 63 ერთეული სატრანსპორტო საშუალება, 2008 წლის 31 დეკემბრისთვის - 134 ერთეული და 2009 წლის 31 დეკემბრისთვის - 131 ერთეული.

2008 წლის 1 აპრილიდან 2008 წლის 31 დეკემბრამდე საკასო ხარჯმა შეადგენდა 541.1 ათასი ლარი. მათ შორის, საწვავის შეძენის ხარჯებმა შეადგინა 433.2 ათასი ლარი და ტრანსპორტის შეკეთების ხარჯებმა 98.6 ათასი ლარი.

2009 წელს ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციისთვის გადახდილია 1,144.2 ათასი ლარი. მათ შორის, საწვავის ხარჯმა შეადგინა 869.3 ათასი ლარი, ხოლო ტრანსპორტის რემონტის ხარჯებმა 216.8 ათასი. 2009 წელს გაწეულია 613.9 ათასი ლარის ფაქტიური ხარჯი.

აუდიტის პერიოდში და ამჟამად მოქმედი შს მინისტრის 10/07/2007 წლის N960 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს შსს-ში ავტოსატრანსპორტო საშუალებათა აღრიცხვისა და ექსპლუატაციის შესახებ დებულება ეხება მხოლოდ სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებსა და ტერიტორიულ ორგანოებს. სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ-თან მიმართებაში ამ მხრივ ნორმატიული რეგულირება არ არსებობს. სააგენტოში ავტოსატრანსპორტო საშუალებების აღრიცხვისას, ექსპლუატაციისას, საწვავით უზრუნველყოფისა და ჩამოწერისას ნაწილობრივ გამოიყენება მითითებული დებულებით დადგენილი წესები და სააღრიცხვო დოკუმენტები. დამატებით დამოუკიდებლად არის შემუშავებული წესები და სააღრიცხვო დოკუმენტების ფორმები, რომლებიც არ არის დამტკიცებული სააგენტოს დირექტორის ბრძანებით.

4. გადასახდელები (გაგრძელება)

4.2 საქონელი და მომსახურება (გაგრძელება)

დებულების თანახმად, მოსამსახურეებზე გაცემული საწვავის (რომელთა ყოველთვიური ლიმიტები სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და ტერიტორიული ორგანოების მიხედვით განისაზღვრება შს მინისტრის ბრძანებით) ჩამოწერა და ფაქტობრივ ხარჯებში ასახვა უნდა განხორციელდეს გაცემის უწყისების საფუძველზე. სააგენტოში საწვავის ჩამოწერა და ფაქტობრივ ხარჯებში ასახვა წარმოებს სააგენტოს დირექტორის ბრძანებით მოსამსახურეებისათვის დაწესებული ყოველთვიური ლიმიტების ფარგლებში, რაც კონტროლდება ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიერ გარბენილი კილომეტრებით, ცალკეული მარკის ავტომანქანისათვის დადგენილი საწვავის ხარჯვის ნორმების საშუალებით.

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება

2009 წლის 3 იანვარს სააგენტოსა და სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი ბისიაი"-ს შორის გაფორმდა N HI/0090/09 ხელშეკრულება სააგენტოს თანამშრომელთა სამედიცინო დაზღვევის (საოჯახო დაზღვევის პაკეტი) შესახებ, ვადით 2009 წლის 1 იანვრიდან 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

ხელშეკრულებით მხარეებმა განსაზღვრეს თავიანთი ვალდებულებები, მიმწოდებელი ვალდებული იყო გაეწია სააგენტოსათვის სადაზღვევო მომსახურება, სააგენტოს კი უნდა აენაზღაურებინა ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. 2009 წელს სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი ბისიაი"-სთვის სააგენტოს მიერ გადახდილი იქნა 88,483 ლარი.

ხელშეკრულებაზე თანდართული სიის მიხედვით, დაზღვეულთა რაოდენობა შეადგენდა 414 თანამშრომელს, რაც წლის განმავლობაში გაიზარდა 444 თანამშრომლამდე.

2009 წლის 31 დეკემბერს ხელშეკრულებაში შეტანილი იქნა ცვლილება, რომლის თანახმად თითოელ დაზღვეული პირის ყოველთვიური სადაზღვევო პრემია 2010 წლის 1 იანვრიდან გაიზრდებოდა 2 ლარით. ცვლილების საფუძვლად წარმოდგენილი იქნა სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი ბისიაი"-ს გენერალური დირექტორის წერილი შს სამინისტროს სატენდერო კომისიის სახელზე, სადაც აღნიშნულია, რომ ტენდერის შედეგად შს სამინისტროსთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე გაფორმებული იქნა სამედიცინო-სადაზღვევო მომსახურებაზე ხელშეკრულებები სამინისტროში შემავალ ხუთ ს.ს.ი.პ-თან, მათ შორის სააგენტოსათან, რომელთა ფარგლებში 2009 წელს ანაზღაურებული ზარალის მოცულობამ 129%-ით გადააჭარბა მოზიდულ პრემიას.

ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების მე-8 მუხლის 8.7 პუნქტის თანახმად, ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად დამზღვევისათვის იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების

4. გადასახდელები (გაგრძელება)

4.2 საქონელი და მომსახურება (გაგრძელება)

პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა. 8.8 პუნქტით დადგენილია, რომ ფასების შეცვლა დასაშვებია მხოლოდ შსს თანამშრომელთა რიცხოვნობის გაზრდის შემთხვევაში, ასევე, მხარეთა ურთიერთშეთანხმებით, წერილობითი ფორმით. ფასის შეცვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას და ახალი ფასის გაანგარიშებისას მხედველობაში მიიღება სამომხმარებლო ფასების ინდექსი, გამოყოფილი ასიგნებები, ინფლაციის დონე და სხვა ფაქტორები. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მოტივაციით ფასის გაზრდა ეწინააღმდეგება, როგორც შესყიდვების კანონის 21-ე მუხლის მე-5 პუნქტის, ასევე ხელშეკრულების მოთხოვნებს და სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის დებულებებს, სადაზღვევო კომპანიის ზარალიანობა სადაზღვევო ანაზღაურებების გაცემის გამო

ვერ ჩაითვლება ისეთ გარემოებად, რომელიც აშკარად შეიცვალა და რომლის გათვალისწინება მხარეებს წინასწარ არ შეეძლოთ, ვინაიდან მზღვეველის ძირითადი ვალდებულებაა სწორედ სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. გარდა ამისა, ზემოხსენებულ წერილში არ არის მითითებული, თუ

რამდენად ეხება სადაზღვევო კომპანიის მიერ მოყვანილი გარემოება კონკრეტულად სააგენტოს, რომელიც წარმოადგენს დამოუკიდებელ ხელშემკვრელ მხარეს[10].

ინფორმაცია ბიუჯეტში გადახდილი თანხების შესახებ მოცემულია ქვემოთ:

(ათას ლარებში)

	2008	2009
მოგების გადასახადი	38.5	115.6
დღგ	1,221.9	2,116.6
ქონების გადასახადი	139.1	300.0
საბაჟო გადასახადი	607.0	146.9
სახელმწიფო ბაჟი და სხვადასხვა მოსაკრებლები	11.8	14.8
ფიზიკური პირების მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაკავებული საშემოსავლო გადასახადი	-	39.1
სულ	**2,018.3**	**2,733.0**

[10] არ არის დაცული „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნები

4. გადასახდელები (გაგრძელება)

4.4 არაფინანსური აქტივების ზრდა

2008 წლის 1 აპრილიდან 2008 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გაიხარჯა 13,263.8 ათასი ლარი, ხოლო 2009 წლის განმავლობაში 4,930.7 ათასი ლარი. გადახდები დაკავშირებული იყო სააგენტოს ოფისების, ავტოდრომების, მინი სტადიონებისა და

სხვა დამხმარე ნაგებობების მშენებლობასთან. ასევე შესყიდულია ავტოსატრანსპორტო საშუალებები და სხვა მანქანა-დანადგარები.

5. საბალანსო ანგარიშგება

5.1 ფული და ფულის ექვივალენტები

სააგენტო შემოსავლების მიღების და ხარჯის გაწევასთან დაკავშირებით ოპერაციებს ახორციელებს მხოლოდ უნაღდო ანგარიშსწორებით. აუდიტის პერიოდში სააგენტოს სს ბანკ რესპუბლიკასა და სს თიბისი ბანკ-ში გახსნილი ჰქონდა 7 მიმდინარე ანგარიში. 2009 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საბანკო ანგარიშების ნაშთი შეადგენდა 127.5 ათას ლარს, ხოლო 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით - 592.7 ათას ლარს.

5.2 დებიტორული დავალიანებები

სააგენტოს დებიტორული დავალიანებების ნაშთი 2008 წლის 31 დეკემბრის და 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს შესაბამისად 905.0 ათასი და 600.9 ათასი ლარს.

2008 წლის 31 დეკემბრიდან სააგენტოს ბალანსზე დანაკლისად ირიცხება 471.3 ათასი ლარის შენობა-ნაგებობები, რაც უკავშირდება 2008 წლის აგვისტოს თვეში განვითარებული მოვლენების დროს სოფელ ხეითში მდებარე ახლად აშენებული შენობის ფაქტობრივი ფლობიდან გასვლას და გორში მდებარე შენობის დაზიანებას. აღნიშული ქონება აღირიცხა ანგარიშზე „მოთხოვნები დანაკლისებით“. ინფორმაცია დებიტორული დავალიანებების შესახებ მოცემულია ქვემოთ:

(ათას ლარებში)

	1/04/2008	31/12/2008	31/12/2009
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	54.8	61.6	20.5
მოთხოვნები მივლინებით	0.5	0.3	-
მოთხოვნები დანაკლისებით	-	471.3	472.2
გადახდილი დღგ	-	183.6	-
წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	-	38.5	88.4
სხვა საგადასახადო აქტივი	52.8	149.8	19.9
მოთხოვნები სხვა წინასწარი გადახდებით	479.2	-	-
სულ დებიტორული დავალიანებები	**587.3**	**905.1**	**601.0**

5. საბალანსო ანგარიშგება (გაგრძელება)

5.3 კრედიტორული დავალიანებები

სააგენტოს კრედიტორული დავალიანებების ნაშთი 2008 წლის 31 დეკემბრის და 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს შესაბამისად 5,074.7 ათასი და 558.6 ათასი ლარს.

2008 წლის 31 დეკემბრის ნაშთში მთლიანი დავალიანების 99%-ს წარმოადგენს ვალდებულებებს მოწოდებიდან და მომსახურებიდან:

- შ.პ.ს ,,მშენებელის" მიმართ ირიცხება 996.9 ათასი ლარი (დასავლეთ სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის მშენებლობა)
- შ.პ.ს ,,თბილისი N&R"-ის მიმართ 116.6 ლარი (ადმინისტრაციული შენობის მშენებლობა)
- შ.პ.ს ,,ნინო"-ს მიმართ 271.4 ლარი (დასავლეთ სამმართველოს ავტოსადგომისა და ავტოდრომის სამშენებლო სამუშაოები) და ა.შ.

აღნიშნული დავალიანებები დაფარულია 2009 წლის განმავლობაში.

2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კრედიტორული დავალიანების ბალანსი შემცირებულია 4,516.4 ათასი ლარით. დავალიანების 71% (396.0 ათასი ლარი) ირიცხება მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებების ანგარიშზე. ინფორმაცია კრედიტორული დავალიანებების შესახებ მოცემულია ქვემოთ:

(ათას ლარებში)

	1/04/2008	31/12/2008	31/12/2009
ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან	661.2	5,029.8	396.1
გადასახდელი ხელფასები, საშემოსავლო	0.2	26.4	-
გადასახდელი დღგ	-	-	67.4
ბიუჯეტის წინაშე სხვა ვალდებულებები	253.3	-	66.9
ვალდებულებები წინასწარ მიღებული სხვა შემოსავლებით	30.4	18.1	27.3
სხვა დანარჩენი კრედიტორული დავალიანება	0.2	0.7	0.9
სულ ვალდებულებები	**945.3**	**5,075.0**	**558.6**

5.4 არაფინანსური აქტივები

2008 წლის 1 აპრილის მდგომარეობით სააგენტოს ძირითადი და არაწარმოებული აქტვივები შეადგენს შესაბამისად 12,095.1 ათას და 1,520.2 ათას ლარს. 2008 წლის 1 აპრილიდან 2009 წლის 31 დეკემბრამდე შემოსავალში აღრიცხულია 12,980.9 ათასი ლარის ძირითადი და 444.0 ათასი ლარის არაწარმოებული აქტივები ხოლო გასავალში 4,274.0 ათასი ლარის ღირებულების ძირითადი აქტივები. 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი აქტივების ნარჩენი ღირებულების და მიწის ბალანსმა შეადგინა 26,301.8 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების დასახელება	არასაცხ. შენობები	სხვა ნაგებობები	სატრანს. საშ-ები	სხვა მანქანა/დანადგ-ები	სხვა ძირ. აქტივები	დაუმთ. მშენებლობა	სხა დან. აქტივები	მიწა	სულ
ნაშთი 01/04/2008	282.2	17.2	617.1	1,063.2	10,115.4	-	-	1,520.1	13,615.2
მიღება:									
უსასყიდლოდ	47.8	-	6.6	-	-	-	-	444.0	498.4
საკუთ. სახსრებით	-	1,509.4	4,764.6	790.6	5,861.8	-	-	-	12,926.4
გასვლა:						-	-		
უსასყიდლოდ	-	-	2,793.5	-	-	-	-	-	2,793.5
სხვა ეკ. ნაკადები	-	-	-	33.8	437.4	-	-	-	471.2
ჩამოწერა	106.1	-	-	-	-	-	-	-	106.1
ძირ.კაპ-ის მოხმარება	11.2	75.5	519.0	295.3	2.3	-	-	-	903.3
ნაშთი 31/12/2008	212.7	1,451.1	2,075.8	1,524.7	15,537.5	15,512.5	25.1	1,964.1	22,765.9
მიღება:									
უსასყიდლოდ	-	-	-	320.7	-	-	-	-	320.7
გრანტებით	53.6	-	-	-	-	-	-	3,381.9	3,435.5
სხვა ეკონ. ნაკად.	16,497.8	672.9	-	35.0	5.5	-	-	-	17,211.2
საკუთ. სახსრებით	82.9	1,121.5	264.8	511.0	2.2	2,096.7	41.0	-	4,120.1
გასვლა:									-
გაყიდვა	-	-	12.6		-	-	-	-	12.6
უსასყიდლოდ	126.7	2.4	-	12.5	-	-	-	78.8	220.4
გრანტებით	-	-	-	-	-	-	-	2,252.6	2,252.6
სხვა ეკ. ნაკადები	-	-	-	-	-	17,206.8	5.5	-	17,212.3
ჩამოწერა	-	-	-	-	-	-	-	-	-
ძირ.კაპ-ის მოხმარება	669.6	162.3	553.7	466.6	1.5	-	-	-	1,853.7
ნაშთი 31/12/2009	16,050.7	3,080.8	1,774.3	1,912.3	6.2	402.4	60.6	3,014.6	26,301.8

5. საბალანსო ანგარიშგება (გაგრძელება)

5.4 არაფინანსური აქტივები (გაგრძელება)

არაფინანსური აქტივების ზრდა

2008 წლის 30 ოქტომბერს დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, თვითმმართველი ქალაქი - რუსთავის მერიის მიერ სააგენტოს უსასყიდლო უზუფრუქტით გადაეცა თბილისი-წითელი ხიდის გზატკეცილის 21-ე კილომეტრზე მდებარე 3,792.4 ათასი ლარის ღირებულების არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საერთო ფართობით 392,589.58 მ². აღნიშნული ტრანზაქცია არ ასახულა სააგენტოს 2008 წლის ბალანსში და აისახა მხოლოდ 2009 წლის ბალანსში (ბალანსის დანართი ფორმა N5) 410.4 ათასი ლარით ნაკლები ღირებულებით. 2009 წლის 13 ნოემბერს აღნიშნულ ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილება, რომლის თანახმად სააგენტოსათვის გადაცემული მიწის ნაკვეთიდან, რუსთავის მერიას დაუბრუნდა 2,663.0 ათასი ლარის ღირებულების 275,676 მ². სააგენტოს 2009 წლის ბალანსში გრანტის სახით გასული მიწის ღირებულება ნაჩვენებია 2,252 608 ლარის ოდენობით (410.4 ათასი ლარით ნაკლები). ამ ტრანზაქციით გასწორებული იქნა 2009 წელს მიღებაში არასწორად ასახული მიწის ღირებულების ოდენობა.

2009 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ასახული ამავე წელს უსასყიდლო უზურფრუქტით (21/01/2009 წლის ხელშკრულება) თვითმმართველ ქ. ბათუმის მერიისგან გადმოცემული ქ. ბათუმში, სულხან-საბა ორბელიანის ქ. N2-ში მდებარე 13,797.93 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. აქტივი ფულად ღირებულებაში არ არის გამოხატული და ბუღალტერიის მიერ შემოსავალში აღებულია რაოდენობრივად. მიუხედავად აღნიშნულისა, ბიუჯეტთან ანგარიშსწორებისას გათვალისწინებული იქნა იურიდიულ და ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული არაფინანსური (არაწარმოებული) აქტივები და ქონების გადასახადის სახით გაწეული იქნა შესაბამისი ხარჯი.

სატენდერო პირობებით სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო ღირებულებაში გაუთვალისწინებელი ხარჯები ზოგადად შეადგენს მთლიანი ხარჯების 5%-ს (დღგ-ს გარეშე). ხშირ შემთხვევაში, სამშენებლო სამუშაოების თავდაპირველი სახელშეკრულებო ღირებულება იზრდება 5%-ზე მეტი ოდენობით, რასაც საფუძვლად უდევს გაუთვალისწინებელი დამატებითი სამუშაოების ჩატარება.

ხშირია შემთხვევები, როდესაც მნიშვნელოვნად იზრდება (ხელშეკრულებაში მითითებული ღირებულების 5%-ზე მეტი ოდენობით) სამშენებლო სამუშაოების თავდაპირველი სახელშეკრულებო ღირებულება. ამის მიზეზად სახელდება სამუშაოების შესრულების პროცესში წინასწარ გაუთვალისწინებელი დამატებითი სამუშაოები. მიუხედავად იმისა, რომ სატენდერო პირობებით სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო ღირებულებაში შეტანილი გაუთვალისწინებელი ხარჯები შეადგენდა მთლიანი ხარჯების 5%-ს დღგ-ს გარეშე. მაგალითად, სააგენტოს

5. საბალანსო ანგარიშგება (გაგრძელება)

5.4 არაფინანსური აქტივები (გაგრძელება)

სანებართვო და საფელდეგერო სამმართველოს შენობის მშენებლობის პირვანდელი სახარჯთაღრიცხვო ღირებულება შეადგენდა 1,189,031 ლარს, ხოლო საბოლოო - 1,630,987 ლარს;

სააგენტოს თელავის განყოფილების მშენებლობა - პირვანდელი ღირებულებაა 834,424 ლარი, საბოლოო - 1,181 366 ლარი; სააგენტოს ბათუმის განყოფილება - პირვანდელი ღირებულებაა 1,932,181 ლარი, საბოლოო 2,062,453 ლარი; სააგენტოს ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე ავტოდრომის მოწყობის სამშენებლო სამუშაოები-პირვანდელი ღირებულებაა 257,436 ლარი, საბოლოო 346,165 ლარი.

ფინანსების სწორი დაგეგმარებისათვის მნიშვნელოვანია შესასრულებელი სამუშაოების მოცულობის და შესაბამისად, ღირებულების ზუსტი განსაზღვრა.

შესყიდვების კანონის ერთ-ერთი მიზნიდან გამომდინარე, (სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვა) შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების დაზუსტებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი, ფასების არსებული დონე, რასაც მოითხოვს დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი. ცალკეულ შემთხვევებში, პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებებით სამუშაოთა ხარჯთაღრიცხვაში არ არის გამოყოფილი მასალის, შრომის ანაზღაურების და ტრანსპორტის ხარჯები. შესაბამისად, შემსყიდველ ორგანიზაციას არ ეძლევა შესაძლებლობა სრულფასოვნად შეადაროს შესყიდული სამუშაოების ღირებულება ფასების არსებულ დონესთან.

27/06/2008 გამოცხადებული ტენდერის შედეგად ქ. ქუთაისში აშენდა სასტუმრო, რომლის საბოლოო ღირებულებამ 470,753 ლარი შეადგინა (შემსრულებელი შპს „ერ-თი-ჯი"). აუდიტის ობიექტის განმარტებით, აღნიშნული მშენებლობა ემსახურებოდა შს სამინისტროს სისტემის განვითარებას, რაც შეთანხმებული იყო სამინისტროს ხელმძღვანელობასთან.

სააგენტოს დებულებაში (მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი) ცვლილება იმის შესახებ, რომ სააგენტოს სახსრები და შემოსავლები მოხმარდება როგორც სააგენტოს მიზნებისა და ფუნქციების განხორციელებას, აგრეთვე სააგენტოსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის განვითარებას, შევიდა შს მინისტრის 27/07/2008 წლის N844 ბრძანებით, მშენებლობის შესახებ ტენდერის გამოცხადების შემდეგ. ასეთივე შინაარსის ცვლილება იმის შესახებ, რომ სსიპ-ის შემოსავლების გამოყენება ასევე შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში – სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს სისტემის განვითარებისათვის, „სსიპ-ის შესახებ" საქართველოს კანონში შევიდა 2009 წლის 26

5. საბალანსო ანგარიშგება (გაგრძელება)

5.4 არაფინანსური აქტივები (გაგრძელება)

ივნისის კანონით. სასტუმროს მშენებლობის განხორციელებაზე ოფიციალური წერილობითი შეთანხმება სამინისტროსთან, სააგენტოს მიერ აუდიტისათვის წარმოდგენილი ვერ იქნა[11].

აუდიტის ჩატარების დროისათვის ქ. ქუთაისის სასტუმროს შენობა ირიცხებოდა სააგენტოს ბალანსზე.

არაფინანსური აქტივების კლება

- აუდიტის პერიოდის დასაწყისისთვის სააგენტოს ბალანსზე ირიცხებოდა 63 ერთეული სატრანსპორტო საშუალება. შემოწმებულ პერიოდში შესყიდული იქნა სულ 196 ერთეული სატრანსპორტო საშუალება, მთლიანი ღირებულებით 5,023.4 ათასი ლარი, აქედან 13 მოტოციკლი, 43.0 ათასი ლარის მთლიანი ღირებულებით, დანარჩენი ავტომობილი.
- საქართველოს შს მინისტრის ბრძანებების საფუძველზე[12] სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებს და ტერიტორიულ ორგანოებს გადაეცათ, 2,781.6 ათასი ლარის საბალანსო ღირებულების 111 ერთეული სხვადასხვა მარკის სატრანსპორტო საშუალება. აღნიშნული სატრანსპორტო საშუალებებიდან აუდიტის პერიოდში შესყიდული იყო 2,370.7 ათასი ლარის 77 ერთეული ავტომობილი.
- საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანების საფუძველზე[13] შს სამინისტროს სამსახურებრივი საჭიროებისათვის გადაეცა 12.0 ათასი ლარის საბალანსო ღირებულების 14 ერთეული სხვადასხვა მარკის სატრანსპორტო საშუალება, რომელიც მანამდე ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანებით[14] თხოვების ფორმით გადაცემული ჰქონდა სააგენტოს.

სულ უსასყიდლოდ გადაცემულ იქნა 2,793.5 ათასი ლარის ღირებულების სატრანსპორტო საშუალება.

---

[11] დარღვეულია სააგენტოს დებულების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტი, რომლის თანახმად აუცილებელია შს სამინისტროს თანხმობა ისეთ გადაწყვეტილებებზე ქონებასთან დაკავშირებით, რომლებიც სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.

[12] 20/11/2008 წლის N1238 და 24/12/2008 წლის N1384 ბრძანებები

[13] 24/11/2008 წლის N1-1/2694 ბრძანება

[14] 27/02/2008 წლის N1-1/244 ბრძანება

5. საბალანსო ანგარიშგება (გაგრძელება)

5.4 არაფინანსური აქტივები (გაგრძელება)

- ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანების[15] საფუძველზე სააგენტოსთვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემული ქ. თბილისში, ვაჟა ფშაველას გამზ. N72-ში მდებარე შენობა-ნაგებობების დემონტაჟის შედეგად ჩამოიწერა 106.1 ათასი ლარის ღირებულების არასაცხოვრებელი შენობები. დემონტაჟის შედეგად მიღებული მეორადი მოხმარებისათვის ვარგისი მასალები, ღირებულებით 102.7 ათასი ლარი, შს სამინისტროს თანხმობით გადაცემული იქნა შსს განსაკუთრებულ დავალებათა მთავარი სამმართველოსთვის, ხოლო გამოუყენებელი მასალა წარმოადგენდა შავი ლითონის ჯართს, რაც წონით შეადგენდა 19.07 ტონას და ღირებულებით- 3.8 ათას ლარს. სააგენტოს საინვენტარიზაციო კომისიის 10/11/2008 წლის გადაწყვეტილების და სააგენტოს დირექტორის ბრძანების[16] საფუძველზე ოთხჯერ იქნა გამოცხადებული კონკურსი მისი რეალიზაციის მიზნით, რაც დასრულდა უარყოფითი შედეგით, ვინაიდან არ იქნა წარმოდგენილი არცერთი წინადადება. აღნიშნულის შემდეგ ლითონის ჯართი უვადოთ გადაეცა საკუთარ ტერიტორიაზე უსასყიდლოდ შესანახად შპს „ვაკას", რაზეც წარმოდგენილი იქნა 25/07/2009 წლის N1 ხელშეკრულება მიბარების შესახებ. აუდიტის ობიექტის განმარტებით, აუდიტის ჩატარების დროისათვის ჯართის შენახვის ადგილმდებარეობა და პირობები არ შეცვლილა.

- 2009 წელს, ავტოსატრანსპორტო საშუალებების ჩამოწერის და ასევე რეალიზების შედეგად არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება შემცირდა 12.8 ათასი ლარით.
- ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანების[17] საფუძველზე შს სამინისტროს გადაეცა ქ. თბილისში, გულუას N8-ში მდებარე არასაცხოვრებელი შენობა, საბალანსო ღირებულებით 126.7 ათასი ლარი და მასზე წილობრივად დამაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საბალანსო ღირებულებით 78.8 ათასი ლარი, რომლებიც მანამდე ირიცხებოდა საფელდეგერო სამასახურის ბალანსზე და შემგომში მისი გამოყენება არ წარმოადგენდა საჭიროებას.

---

[15] 15/11/2007 წლის N1-1/1775 ბრძანება

[16] 13/11/2008 წლის N29 ბრძანება

[17] 29/06/2009 წლის N1-1/1516 ბრძანება

5. საბალანსო ანგარიშგება (გაგრძელება)

5.4 არაფინანსური აქტივები (გაგრძელება)

- შს სამინისტროს და ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წერილების[18] საფუძველზე განსაკუთრებულ დავალებათა მთავარ სამმართველოს ფუნქციონალური საჭიროებისათვის გადაეცა სააგენტოს დასავლეთ სამმართველოს ქ. ქუთაისის განყოფილებაზე რიცხული 16 კილოვატიანი ელექტროგენერატორი, საბალანსო ღირებულებით 12.5 ათასი ლარი და ნაგებობა, სადაც დამონტაჟებულია აღნიშნული გენერატორი, საბალანსო ღირებულებით 2.4 ათასი ლარი.

5.5 სხვა მატერიალური მარაგები

დასახელება	01/04/08-31/12/08			31/12/08-31/12/09			
	ნაშთი	მიღება	ჩამოწ.	ნაშთი	მიღება	ჩამოწ.	ნაშთი
სულ მატერიალური მარაგები	**1,326.1**	**4,654.5**	**2,271.5**	**3,708.9**	**1,365.2**	**2,716.3**	**2,357.9**
ნედლეული და მასალები							
სანომრე ფირფიტები	593.7	2,013.9	943.2	1,664.4	186.5	1,030.5	820.3
სპეც. ბლანკები	14.7	15.2	21.6	8.2	30.9	19.9	19.2
მოწმობები და მოწმობის დასამზადებელი მასალები	491.8	1,199.9	260.0	1,431.7	109.2	380.0	1,160.9
კომპიუტ. საქონელი და აქსესუარ.	7.2	32.1	1.2	38.1	29.0	47.4	19.7
სულ ნედლეული და მასალები	**1,107.4**	**3,261.1**	**1,226.0**	**3,142.4**	**355.6**	**1,477.8**	**2,020.1**
ფულადი დოკუმენტები							
ბენზინის ბარათები	42.4	403.1	378.3	67.2	379.2	377.7	68.6
დიზელის ბარათები	36.3	148.3	102.0	82.6	59.3	81.4	60.5
სატელეფონო ბარათები	3.1	152.1	138.8	16.3	143.8	141.2	19.0
სულ ფულადი დოკუმენტები	**81.8**	**703.5**	**619.1**	**166.1**	**582.3**	**600.3**	**148.1**
სათადარიგო ნაწილები							
აკუმულატ/საბურავები	5.8	34.3	10.0	30.1	89.2	102.8	16.6
სხვა მატერიალური მარაგები							
საკანც/სამეურ და ელ. საქონელი/კავშირგაბმულობა	36.9	118.9	129.3	26.5	105.3	101.9	30.0
მცირეფასიანი ინვენტარი (საწყობში)	60.7	535.1[19]	285.0	310.9	176.5[20]	424.7	62.8
სხვა დამარჩენი მატ. მარაგები	33.5	1.6	2.1	32.9	56.3	8.8	80.3
სულ	**136.1**	**648.3**	**416.4**	**370.3**	**333.1**	**535.4**	**173.1**

[18] შს სამინისტროს წერილი 28/03/2009 წლის N10/4/13-1165 და ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წერილი 17/06/2009 N15/2848/9-9 წლის

[19] მათ შორის 7.3 ათასი ლარი უსასყიდლოდ

[20] მათ შორის 5.0 ათასი ლარი უსასყიდლოდ

6. წმინდა ღირებულების ანგარიშგება

2008 წლის 1 აპრილის მდგომარეობით სააგენტოს წმინდა ღირებულება შედგენდა 12,298.4 ათას ლარს, 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 9,875.9 ათას ლარს და 2009 წლის 31 დეკემბრისთვის - 11,049.5 ათას ლარს.

2008 და 2009 წლის ბალანსებში გრანტის სახით უნდა ასახულიყო, შესაბამისად, 2008 წელს ქ. რუსთავის მერიიდან და 2009 წელს ქ. ბათუმის მერიიდან უსასყიდლოდ გადმოცემული, ასევე 2009 წელს ქ. რუსთავის მერიისათვის დაბრუნებული მიწა, რის შესახებ დაწვრილებით აღინიშნა ზემოთ, 5.4 განმარტებაში.

2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სააგენტოს გაუნაწილებელი მოგება შეადგენდა 12,556.8 ათას ლარს და 2009 წლის 31 დეკემბრისათვის 18,244.5 ათასი ლარს.

ვინაიდან სააგენტო ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას იგი წარმოადგენს მოგების გადასახადის გადამხდელს. საგადასახადო მოგების გაანგარიშება წარმოებს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი შემოსავლებისა და ხარჯების აღიარების შესახებ ნორმების შესაბამისად. 2008 წელს სააგენტოს საგადასახადო მოგებამ შეადგინა 438.3 ათასი და 2009 წელს 4,118.5 ათასი ლარი.

7. სხვა განმარტებები

7.1 სახელმწიფო შესყიდვები

7.1.1 – ცალკეულ კრიტერიუმებში სატენდერო წინადადებების შეფასება საჭიროებდა შედარებით დეტალურ ანალიზს, რათა სრულყოფილად ყოფილიყო გათვალისწინებული პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი მონაცემები, რომლებიც ზოგადად ადასტურებენ ან არ ადასტურებენ სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს.[21] კერძოდ:

<u>ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ</u>

- 2008 წლის 14 აპრილს გამოცხადებული ტენდერი ავტომობილების შესყიდვის შესახებ, პრეტენდენტები: შპს „აუტოკომი“, შპს „მათე მოტორსი“, შპს „იბერია ავტოჰაუსი“;
- 2008 წლის 14 მაისს გამოცხადებული ტენდერი ავტომობილების შესყიდვის შესახებ, პრეტენდენტები: შპს „ქარ პალასი“, შპს „აუტოჰაუზი“;

[21] არ არის შესრულებული „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-8 პუნქტის მოთხოვნები

7. სხვა განმარტებები (გაგრძელება)

7.1 სახელმწიფო შესყიდვები (გაგრძელება)

- 2008 წლის 26 ივნისს გამოცხადებული ტენდერი კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვის შესახებ, ერთადერთი პრეტენდენტი და გამარჯვებული შპს „ბიტი“;
- 2008 წლის 21 აპრილს და 18 სექტემბერს გამოცხადებული ტენდერები ავეჯის შესყიდვის შესახებ, გამარჯვებული შპს „სარკე სტუდია“;

<u>ინფორმაცია მიწოდების ვადებისა, ასევე პრეტენდენტის გამოცდილებისა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ</u>

- 2008 წლის 14 მაისს ავტომობილების შესყიდვაზე გამოცხადებული ტენდერი, მე-3 ლოტი, პრეტენდენტები შპს „იბერია სერვისი“ და შპს „ქარ პალასი“;

<u>აუდიტის დასკვნები პრეტენდენტის ფინანსური მდგომარეობის შესახებ</u>

- 2009 წლის 11 თებერვალს სააგენტოს აღმოსავლეთ საქართველოს სამმართველოს ქ. ახალციხის განყოფილების მიმდებარე ტერიტორიაზე ავტოდრომის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე გამოცხადებული ტენდერი, პრეტენდენტი შპს „ელვა-შენება“;
- 2008 წლის 14 მაისს დასავლეთ საქართველოს სამმართველოს შენობის მშენებლობის და მოსაცდელის, ასევე მიმდებარე ტერიტორიაზე ავტოსადგომისა და ავტოდრომის მოწყობის სამუშაოების შესყიდვაზე გამოცხადებული ტენდერი, შპს „ნინო“;
- 2009 წლის 28 იანვარს ქ. ბათუმის განყოფილების შენობის (1 ლოტი) და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის (II ლოტი) სამუშაოების შესყიდვაზე გამოცხადებული ტენდერი, შპს „ანაგი“;

<u>სატენდერო წინადადების ფასში გაუთვალისწინებელი ხარჯების ინფორმაცია</u>

- 2008 წლის 27 ივნისს ქ. ქუთაისში სასტუმროს სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე გამოცხადებული ტენდერი, პრეტენდენტები შპს ,,ნინო“ და შპს ,,ბორა-2008“;
- 2009 წლის 28 იანვარს ქ. ბათუმის განყოფილების შენობისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოების შესყიდვაზე გამოცხადებული ტენდერი, პრეტენდენტები შპს ,,პირამიდა 2002“, შპს ,,კახისი“, შპს ,,სამშენებლო სამონტაჟო კომპანია“, შპს ,,ახალი მთვარე“ და შპს ,,ანაგი“;

<u>ტექნიკური მონაცემები ძრავის მოცულობის შესახებ</u>

- 2008 წლის 14 აპრილს ავტომობილების შესყიდვაზე გამოცხადებული ტენდერი, მე-6 ლოტი, პრეტენდენტი შპს „კია მოტორს ჯორჯია";

7. სხვა განმარტებები (გაგრძელება)

7.1 სახელმწიფო შესყიდვები (გაგრძელება)

7.1.2 - პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი აუდიტის დასკვნები უმეტეს შემთხვევაში არ შეიცავენ ინფორმაციას პრეტენდენტის საქმიანობის ფინანსური მაჩვენებლების შესახებ, რისი მიხედვითაც უნდა შეფასებულიყო პრეტენდენტი:

- შპს „ტოიოტა ცენტრი თბილისი“ (2008 წლის 14 აპრილს გამოცხადებული ტენდერი ავტომობილების შესყიდვის შესახებ)
- შპს „კია მოტორსი“ და შპს „იბერია სერვისი“ (2008 წლის 14 მაისს გამოცხადებული ტენდერი ავტომობილების შესყიდვის შესახებ)
- შპს „აგუნა“ (2009 წლის 11 თებერვალს გამოცხადებული ტენდერი სააგენტოს აღმოსავლეთ საქართველოს სამმართველოს ქ. ახალციხის განყოფილების მიმდებარე ტერიტორიაზე ავტოდრომის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე) და სხვა.

პრეტენდენტების ფინანსური მდგომარეობა წარმოადგენს სატენდერო კომისიის შეფასების საგანს, ხოლო აუდიტის მოვალეობაა, აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად გამოთქვას მოსაზრება მხოლოდ პრეტენდენტის ფინანსური ანგარიშგების უტყუარობისა და სამართლიანობის შესახებ.

7.1.3 – 2009 წელს ჩატარებული ტენდერების არც ერთი განცხადება და სატენდერო დოკუმენტაცია არ შეიცავს მოთხოვნებს, რომლებიც შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება. ასეთი მოთხოვნების მითითება მნიშვნელოვანი და აუცილებელია, ვინაიდან პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის საკითხი დამოკიდებულია იმაზე, შეესაბამება თუ არა პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ან/და სატენდერო წინადადება დადგენილ მოთხოვნებს, დაშვებული უზუსტობები არსებითად ხომ არ ეწინააღმდეგება მათ და შესაძლებელია თუ არა მათი გამოსწორება[22].

7.1.4 - რამდენიმე შემთხვევაში, ცვლილებების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება და გაზეთში გამოქვეყნებული შეცვლილი განცხადების შინაარსი არ შეესაბამება ერთმანეთს:

2008 წლის 14 აპრილს ავტომობილების შესყიდვის შესახებ ტენდერის განცხადებაში (2008 წლის 22 აპრილის სატენდერო კომისიის სხდომის N02 ოქმი) შეცვლილი იქნა მე-8 ლოტი და დაემატა მე-9 ლოტი, გაზეთში გამოქვეყნებულ განცხადებაში კი შეცვლილი იქნა ასევე

---

[22] არ არის შესრულებული „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის და მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, ასევე დებულების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის „ქ“ ქვეპუნქტის მოთხოვნები (კანონის აღნიშნული ნორმა ძალაშია 2008 წლის 15 დეკემბრიდან, ხოლო დებულების 2009 წლის 15 იანვრიდან)

7. სხვა განმარტებები (გაგრძელება)

7.1 სახელმწიფო შესყიდვები (გაგრძელება)

შესასყიდი საქონლის - ავტომობილების მოთხოვნილი ტექნიკური მახასიათებლებიც. კერძოდ, მე-6 და მე-7 ლოტებში შეცვლილი იქნა ძრავის მოცულობები, შესაბამისად, 2,800-3,000 სმ³-ს ნაცვლად 3,000-3,200 სმ³, 3,300- 4,800 სმ³-ის ნაცვლად 3,800-4,000 სმ³.
მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, 2008 წლის 14 მაისს ავტომობილების შესყიდვის შესახებ ტენდერის განცხადებაში შემცირებული იქნა მე-4 და მე-5 ლოტებით გათვალისწინებული ავტომობილების რაოდენობა, გამოქვეყნებული შეცვლილი განცხადების მიხედვით კი, გარდა ამისა მე-2 ლოტში ორი ერთეულით გაზრდილი იქნა შესასყიდი ავტომობილების რაოდენობა.

7.1.5 - ფასთა კოტირების ჩატარებისას არ ხდება კანცელარიის მეშვეობით ფასთა კოტირებაში მონაწილების მსურველთა განაცხადების სააგენტოში შემოსვლა, რაც აუცილებელია განაცხადის წარდგენის თარიღის დასაფიქსირებლად, ვინაიდან განაცხადის მიღების დადგენილი ვადის დარღვევისას ისინი არ განიხილება. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, შემსყიდველი ორგანიზაცია დოკუმენტაციის დაგზავნიდან არაუმეტეს 5 დღისა იღებს მოწვეული პირების გადაწყვეტილებებს მონაწილეობაზე, ხოლო დოკუმენტაციის დაგზავნიდან არა უმეტეს 15 დღისა იღებს განაცხადებს. აღნიშნული მოთხოვნა არ სრულდებოდა და ფასთა კოტირების პროცედურაში მონაწილეობისათვის გაგზავნილ ყველა მოწვევაში განაცხადის მიღების ვადა მითითებულია 2-5 დღე მოწვევის თარიღიდან, შესაბამისად, შეზღუდულია შესყიდვაში მონაწილეობის მსურველთა კანონმდებლობით მინიჭებული უფლება გონივრულ ვადაში მიიღონ გადაწყვეტილება და მოემზადონ ფასთა კოტირებაში მონაწილეობის მისაღებად[23].

7.1.6 - აუდიტის პერიოდში განხორციელებული იქნა ისეთი შესყიდვები, რომლებიც არ იყო გათვალისწინებული შესყიდვების წლიური გეგმით:

- 2008 წელს ფასთა კოტირების საშუალებით შესყიდული იქნა სააგენტოს ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე სტადიონზე ხელოვნური საფარის მოწყობის, ადმინისტრაციული შენობის სარეკონსტრუქციო სამუშაოები შესაბამისად, 39,687 და 90,034 ლარის ღირებულებით
- სააგენტოს დასავლეთ საქართველოს სამმართველოს მინისტადიონზე ხელოვნურსაფარიანი მოედნის მოწყობის სამუშაოები, 27,376 ლარის[24].

---

[23] არ არის შესრულებული დებულების 22-მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნა

[24] დარღვეულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის და დებულების მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნები

7. სხვა განმარტებები (გაგრძელება)

7.2 შიდა აუდიტი

სააგენტოში შიდა აუდიტის ფუნქციებს ახორციელებს მონიტორინგის, ინსპექტირებისა და პროგრამული უზრუნველყოფის სამმართველო, რომლის ერთ-ერთ მოვალეობას

წარმოადგენს სააგენტოს დირექტორის დავალებით არანაკლებ წელიწადში ერთხელ სააგენტოს სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის კონტროლი. აუდიტის პერიოდში ჩატარებულია სულ სამი შემოწმება, აქედან მხოლოდ ერთი შეეხება სააგენტოს საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის საკითხებს, დანარჩენ შემთხვევაში კი შემოწმებულია მომსახურებასთან დაკავშირებით დოკუმენტების წარმოების სისწორისა და სისრულის მდგომარეობა. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სსიპ-ის წლიურ ბალანსს ამოწმებს სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს მიერ დანიშნული დამოუკიდებელი აუდიტორი.

შემოწმებულ პერიოდში ჩატარებულია მხოლოდ 2008 წლის ფანანსური აუდიტი და ძირითადი აქტივების ინვენტარიზაცია. მოწვეული აუდიტორული ფირმის მიერ ტარდებოდა ინვენტარიზაცია, რომელიც წინამდებარე აქტის შედგენის თარიღისათვის არ დასრულებულა. ორივე შემთხვევაში აუდიტორული მომსახურება შესყიდულია სააგენტოს მიერ.

8. რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა

სააგენტოს საქმიანობის წინა, 01/01/2007–31/03/2008 პერიოდის შემოწმება ჩატარებულია საქართველოს კონტროლის პალატის მიერ, რის შესახებ შედგენილია 21/07/2008 წლის N97/20 აქტი სახელმწიფო ქონების განკარგვა-გამოყენების კანონიერების თემატური შემოწმების შესახებ. შედეგად დაფიქსირებულია სხვადასხვა სახის დარღვევა-ნაკლოვანებები:

- სამშენებლო-სარემონტო სამუშოებზე საკონტროლო აზომვების შედეგად დადგინდა, რომ ადგილი აქვს ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო მოცულობებიდან გადახრებს;
- ქონების განკარგვა-გამოყენებისას არ არის დაცული კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები შესაბამისი თანხმობების მიღების თაობაზე;
- რიგ შემთხვევაში დარღვეულია ბუღალტრული აღრიცხვის წესები;

8. რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა (გაგრძელება)

- სახელმწიფო შესყიდვები განხორციელებულია მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევებით და სხვა.

შემოწმების შედეგებზე, სააგენტოს ხელმძღვანელობას 24/12/2008 წლის N9/2286-04 წერილით გაეგზავნა წარდგინება, რომლის განხილვისა და შემოწმებით გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად გატარებული ღონისძიებების შესახებ კონტროლის პალატას ეცნობა 03/04/2009 წლის N49/8/1-2829 წერილით.

აუდიტის აქტი წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და იგი „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კონტროლის პალატის დავების განმხილველ საბჭოში აქტის ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში.

აუდიტის ჯგუფის ხელმოწერები

ირაკლი ყენია

05.01.2012

მთავარი აუდიტორი	ხელმოწერა	თარიღი
ჯგუფის ხელმძღვანელი		

მაია მუჯირიშვილი

05.01.2012

აუდიტორ-ასისტენტი	ხელმოწერა	თარიღი